ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 10

22 მარტი , 2018 წელი
11 :00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

მარიკა დარჩია

გიორგი ბირბიჩაძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ცირა გოგშელიძე

ოლეგ ჩიქოვანი

გიორგი გოცაძე

ზურაბ ზამთარაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ

8. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

9. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ

11. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები უკვე განიხილულ იქნა კომისიურ რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ მოქალაქეებს მიმართა, რომ კომისია მზადაა წარმოდგენილი შენიშვნები და განმარტებები გაითვალისწინოს და მაქსიმალურად ეცდება მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილებას.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა.

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, მოქალაქე ლეილა შათირიშვილმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურს უსახელო ქუჩის სახელდების მოთხოვნით მიმართა.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიამ თებერვლის თვეში ადგილზე მოახდინა უსახელო ტერიტორიის შესწავლა და შეხვედრა გამართა ადგილობრივ მოსახლეობასთან. უსახელო მონაკვეთები ყალიბდება ძირითადი ქუჩის შესახვევებად და ამით ათეული ოჯახის მისამართის პრობლემა მოგვარდება.

შეხვედრას ესწრებოდა სამგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი, რომელიც სახელდების შემდეგ მოსახლეობას ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას დაპირდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელი.

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო ტერიტორიის სახელდების საკითხი განიხილა. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ტერიტორიის სახელდება 2014 წელს მოხდა, თუმცა განაშენიანების პროცესმა წარმოქმნა ახალი გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მარია პერინის ქუჩის უსახელო შესახვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს მარია პერინის I შესახვევის სახელი.

3. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად ზემოაღნისნული საკითხი განიხილეს. აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს მიხაკო წერეთლის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის უსახელო ჩიხს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, ხსენებული სახელდებით მისამართდება რამდენიმე ოჯახი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელი.

4. **ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელის სახლდებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. კომისიას მოქალაქე ცირა გოგშელიძის განცხადების საფუძველზე სახელდებისთვის მომართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსმა. თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ტერიტორია განაშენიანების პროცესშია, მაგრამ უკვე აუცილებელია სახელდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელი.

5. **ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოიმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაცია ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ვაკე-საბურთალოს რაიონული საზღვარი გადის სწორედ ლეო კვაჭაძის ქუჩაზე. ამ შემთხვევაშიც ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებული მისამართები, შესახვევები და ჩიხები ხვდება შესაბამის (ვაკის) რაიონში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელი.

6. **ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა კომისიის თავმჯდომარესთან ერთად სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ტერიტორიის სახელდების საკითხი განიხილეს. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ხსენებულ დასახლებაში კომისიამ საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად შეხვედრა გამართა მოსახლეობასთან და დაპირდა მისამართის პრობლემის მოგვარებას. თინათინ ნიბლოშვილის განმატრებით, ეს კონკრეტული დაპირება შესრულებული იქნება საკრებულოს მიერ შესაბამისი აქტის გამოცემისთანავე.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომას ესწრებოდა მოქალაქე ოლეგ ჩიქოვანი, რომელმაც განმცხადებლების სახელით (განცხადებას ხელს აწერს 26 მოქალაქე) მადლობა გადაუხადა კომისიას და საკრებულოს თავმჯდომარეს გვერდში დგომისთვის და მოქალაქეთა პრობლემების დროულად გადაჭრისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელენე გოკიელის I შესახვევის სახელი.

7. **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის შესახებ იმსჯელა და აღნიშნა, რომ სახელის შერჩევისას კომისიამ იხელმძღვანელა ტოპონიმური სახელწოდებების შერჩევის პრინციპით. ნატუსები ნასოფლარის ტოპონიმური სახელწოდებაა და მდებარეობს გლდანში, ჯვარასხევის მარჯვენა ნაპირზე. მარცხენა ნაპირზე კი მდებარეობს ნასოფლარი ხოდაბუნები. დღეის მდგომარეობით ნასოფლარი ტყით არის დაფარული.
უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების ინიციატივას მხარი დაუჭირეს განმცხადებლმა და კომისიის წევრებმა.
საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაეწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ნატუსების სახელი.

8. **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თინათინ ნიბლოშვილომა აღნიშნა, რომ უსახელო ტერიტორიაზე ჯერჯერობით ცხოვრობს სულ ორი ოჯახი, თუმცა კომისიისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი ჩვენი თანამოქალაქის პრობლემა. ხსენებული სახელდებაც სწორედ ამის დასტურია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელი.

9. **ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭება ქალაქში ერთადერთი ტყის (ხუდადოვის) მიმდებარედ არსებული ტერიტორიის გამო შეირჩა.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს ტყის სახელი.

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად მოქალაქე პორფილე ჭელიძის განცხადება განიხილეს, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ტერიტორიის სახელდებას. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ტერიტორია განაშენიანების პროცესშია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურმა კომისიას სთხოვა სახელდების პროცესის დაწყება. საქმისწარმოებისას მოძიებული იქნა ტერიტორიის მახასიათებელი ტოპონიმური სახელწოდება და ხსენებულის გათვალისწინებით შეირჩა სახელი. „ქვიშიანი“ ლილოს მთის კალთებზე დასახლებული ოთხი პუნქტიდან ერთ-ერთის, კერძოდ ლენინისის ძველი სახელწოდებაა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს ქვიშიანის სახელი.

11. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა ჩუღურეთის რაიონში ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ „ზამთრიანი“ ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ მიხედვით მდებარეობს დღევანდელი ივერთუბნის ტერიტორიაზე და წარმოადგენს ისტორიულ ტოპონიმს.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი.
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ზამთრიანის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

22 მარტი, 2018 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი